საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №70-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 5/47).
დამკვეთი – შპს "მეგობრობა", (ს/კ 400015032).
პროექტის შემსრულებელი – საექსპერტო ორგანიზაცია შპს "მეგობრობა".
პროექტის ავტორი – არქიტექტორი კ. მაჩაიძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორია მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზნის აღწერა:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №70-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 5/47)-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართით – 1419.0 მ^2. შეთანხმებული გაპის № 2986125 გაცემული 08.12.2016 წ. ბრძანების მიხედვით მრავალფუნქციური კომპლექსის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №70-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №5/47)-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე. რელიეფი ხასიათდება უმნიშვნელო დონეთა სხვაობით, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება გურამიშვილის გამზირი, ჩრდილოეთის მხრიდან სამიკრორაიონო გზა, ხოლო სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული მომიჯნავე ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია, როგორც საცხოვრებელი, ასევე საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობები.

პროექტის კონცეფცია, იდეა:

ტერიტორიის ეს ნაწილი, დღეის მდგომარეობით ასათვისებელია. არის ძველი საწარმოს ნარჩენი დაშლილი ნაგებობები და მასში განვითარებული ავტოპროფილაქტიკები. ქუჩის გასწვრივ მიმდინარეობს ახალი მშენებლობები, რომლის მშენებლობაც უკვე მიმდინარეობს და ჩვენს მიერ დაპროექტებული მრავალფუნქციური კომპლექსი მეზობელ შენობებთან ერთად, ახალ სიცოცხლეს შესძენს გურამიშვილის გამზირს. ახალი, საინტერესო მრავალფეროვანი შინაარსის შენობები არის ის, რაც ესოდენ აკლია ქუჩას. ჩვენს მიერ წარმოდგენილი გურამიშვილის გამზირის გასწვრივ განვითარებული მაღლივი შენობა იქნება ერთგვარი ფარდა, მის უკან დარჩენილი მოსაწესრიგებელი ტერიტორიებისათვის და ასევე ინტერესის გამჩენი ნაბიჯი ქალაქის ნაწილის განვითარებისათვის.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

პროექტის კორექტირება მდგომარეობს შემდეგში:

1)-9 ნიშნულიდან 0.00 ნიშნულის ჩათვლით 5,7 და 9 ღერძებზე დამატებით მოეწყო მონოლითური კედლები.შეიცვალა სართულების სიმაღლე.კიბის უჯრედებში შეიცვალა საფეხურების რაოდენობა,ასევე კიბის უჯრედებში მოაჯირების ნახატი.შემცირდა სართულშუა გადახურვის ფილის სისქე.

2)0.00 ნიშნულის ქვევით დ ღერძზე 4-5 მონაკვეთში კედელი შემოიწია დ ღერძისკენ.

3)1-2 ღერძებს შორის არსებულმა შახტებმა გადმოიწია 2-3 მონაკვეთში.

4)+4.20 ნიშნულზე და მის ზემოთ კიბის უჯრედისა და კორიდორის განიავებისთვის ეწყობა შახტები.

ნაწილობრივ შეიცვალა ოფისებში და საცხოვრებლებში შესასვლელი კარებების მდებარეობა.

დ და 8 ღერძების კვეთასთან კარები მოეწყო კოლონის პირზე.

დ ღერძის გარეთ აივნებზე გაუქმდა კაპიტალური კედლები და მის ნაცვლად მოეწყო ლითონის მოაჯირები. შეიცვალა მოაჯირების ნახატი და გაიზარდა მათი სიმაღლე.

5) 7.40 ნიშნულზე და მის ზევით დ ღერძის გარეთ ნაწილობრივ გაიზარდა სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები და დამატებით მოეწყო კედლები, რის გამოც გაიზარდა ფართი.

ა ღერძის გარეთ 3 და 10 ღერძებზე შემცირდა კედლის სისქე.

ა ღერძის გარეთ საქვაბეებში გაუქმდა ბინიდან შესასვლელი კარი და ნაწილობრივ შეიცვალა საქვაბეების გაბარიტები.

6) 1-1 და 4-4 ჭრილის ნახაზებზე რიგელები სრულად არის ნაჩვენები.

7) პროექტში მონოლითური და ბლოკის კედლები განსხვავებული აღნიშვნებით არის ნაჩვენები.

8) 1-10 ფასადზე ნაწილობრივ შეიცვალა ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატი.

9) 4.20 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დამატებით მოეწყო მეტალის ჟალუზი.

10) 10-1 ფასადზე 9-8 მონაკვეთში კიბის უჯრედში შეიცვალა ღიობების გაბარიტები, ხოლო 6-5 მონაკვეთში გაუქმდა ღიობები.

11) 0.00 ნიშნულზე ა ღერძზე ვიტრაჟები მოეწყო კოლონის გარე პირზე.

6 ღერძზე და მის მარცხნივ ბლოკის კედლების ნაცვლად მოეწყო ვიტრაჟები და ნაწილობრივ შეიცვალა მისი ფორმა.

12) 7.40 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში დამატებით მოეწყო კოლონები და რიგელები.

ფასადებზე ნაწილობრივ შეიცვალა ღიობების გაბარიტები.

13) ფასადზე ტრავერტინით მოპირკეთება შეიცვალა აქფას ალუმინის პანელით.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასულ რიგელიან სტრუქტურას, ბლოკის შემავსებლით შენობის საძირკვლად გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის ფილა. შენობის კონტსტრუქციის, მისი სიმაღლის და ფართობებიდან გამომდინარე, სახანძრო უსაფრთხოების წესების მიხედვით, წარმოადგენს **I - A** კონსტრუქციის ტიპს.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წ. 24 მაისის №14-39 დადგენილება;
საქართველოს მთავრობის 2016წ. 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 1419 მ^2
განაშენიანების ფართობი – 1200 მ^2
საერთო ფართობი – 13402.71 მ^2
<u>მათ შორის</u>:

საცხოვრებელი ფართობი – 1822.24 მ^2
საოფისე ფართობი – 5411.85 მ^2
კომერციული ფართობი – 792.08 მ^2
საზაფხულო ფართობი – 871.19 მ^2
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 1397.78 მ^2
დამხმარე ფართობი – 55.5 მ^2
ავტოსადგომის ფართობი – 3052.07 მ^2

სამშენებლო მოცულობა: 41270.83 მ^3

მათ შორის: 0.00 ნიშნულის ზევით: 34387.71 მ^3

0.00 ნიშნულის ქვევით: 6883.13 მ^3

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე: 50.2 მ

0.00 ნიშნულის ზევით: 42.1 მ

0.00 ნიშნულის ქვევით: 8.1 მ

ძირითადი ნაწილი

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12) ლიფტების შეფასება;
13) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი სამი მიწის დონის ქვედა და თორმეტი მიწის დონის ზედა სართულით.

პროექტში გამოყენებულია **საქმიანი (სქ)**, **სავაჭრო (სვ)**, **საცხოვრებელი (სც-2)**, **სასაწყობო (სწ-2)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304**, **309**, **310**, **311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა (-3) სართულზე (**-8.10** ნიშნული) განთავსებულია: სახანძრო წყლის რეზერვუარი, სატუმბო სადგური და საგენერატორო, რომელიც **312.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **55.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**.

მიწის დონის ქვედა (-1), (-2), (-3), სართულებზე (**-2.70**, **-5.40**, **-8.10** ნიშნულები) განთავსებულია დახურული ავტოსადგომები (საერთო რაოდ. **73** ავტომობილი), რომელიც **311.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც მცირე საფრთხის შემცველი **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **3021.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=165**. <u>მათ შორის</u>:

<u>დახურული ავტოსადგომი</u> (**-8.10** ნიშნულზე) – საერთო ფართობით **1007.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=55**.

<u>დახურული ავტოსადგომი</u> (**-5.40** ნიშნულზე) – საერთო ფართობით **1007.3 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=55**.
<u>დახურული ავტოსადგომი</u> (**-2.70** ნიშნულზე) – საერთო ფართობით **1007.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=55**.

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნული) განთავსებულია <u>კომერციული სივრცე</u>, რომელიც **309.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **784.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=284**.

მეორე – მეცხრე სართულებზე (**+4.20** ნიშნული) განთავსებულია <u>საოფისე სივრცე</u>, რომელიც **304.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **5920.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=680**.

II სართულზე (**+4.20** ნიშნ.) – <u>საოფისე ფართი</u>, საერთო ფართობით **945.5 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=107**;

III სართულზე (+7.40 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **889.1 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=87**;

IV სართულზე (+10.60 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **716.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=85**;

V სართულზე (+13.80 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **678.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=80**;

VI სართულზე (+17.00 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **694.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=81**;

VII სართულზე (+20.20 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **622.7 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=78**;

VIII სართულზე (+23.40 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **700.0 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=83**;

IX სართულზე (+26.60 ნიშნ.) – საოფისე ფართი, საერთო ფართობით **673.6 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=79**;

X – XII სართულები მთლიანად დათმობილი აქვს საცხოვრებელ ბინებს, რომელიც **310.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1979.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=127**. მათ შორის:

X სართულზე (+29.80 ნიშნ.) – **14** საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **675.4 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=43**;

XI სართულზე (+33.00 ნიშნ.) – **14** საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **675.4 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=43**;

XII სართულზე (+36.20 ნიშნ.) – **13** საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **628.6 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=41**.

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი = 11761.3 მ².**
დაკავებულობების დატვირთვის **ჯამური მაჩვენებელი დდ=1258.**

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

<u>დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხის, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების, **601 ცხრილის** და **704.10 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობისთვის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილია **3 საათი**, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა **400x1000 მმ**).

601 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე ცეცხლმედეგობის **2 საათიანი** ხარისხია მოთხოვნილი. საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

601 ცხრილის მიხედვით, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები მოთხოვნილია **2 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა). სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები მოთხოვნილია **1,5 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, პროექტის მიხედვით წარმოდგენილია **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რაც აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (წყლის რეზერვუარი, სატუმბო სადგური და საგენერატორო): სართული – **1**, სიმაღლე – **2.70 მ** და ფართობი – **55.5 მ²**;

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დახურული ავტოსადგომები): სართული – **3**, სიმაღლე – **8.10 მ** და ფართობი – **3021.7 მ²**;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (კომერციული სივრცე): სართული – **1**, სიმაღლე – **4.20 მ** და ფართობი – **784.0 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საოფისე სივრცე): სართული – **8**, სიმაღლე – **25.60 მ** და ფართობი – **5920.7 მ²**;

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საცხ. ბინები): სართული – **3**, სიმაღლე – **9.60 მ** და ფართობი – **1979.4 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **12**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **42.1 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **36.20 მ,** განაშენიანების ფართობით – **1200 მ^2** და საერთო ფართობით – **13402.71 მ^2**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო შენობა, სამი მიწის დონის ქვედა და თორმეტი მიწის დონის ზედა სართულით, მარტივ რელიეფზეა განთავსებული და წარმოდგენილია ორი გასასვლელით, **1021 ქვეთავის** შესაბამისად. გასასვლელები გადის პირველი სართულის **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს, იმავე ნიშნულზე.

შენობაში ორი შემოზღუდული კიბის უჯრედია მოწყობილი **1009 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ემსახურება შენობის ყველა სართულს, ბოლო სართულიდან ორივე კიბე უწყვეტად გრძელდება სახურავის ზედაპირამდე და სრულდება კიბის უჯრედის ამოსასვლელით, რაც აკმაყოფილებს **1009.16 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენობაში ორი ლიფტია მოწყობილი, რომელიც ემსახურება შენობის ყველა სართულს (-8.10-დან 36.20 ნიშნ. ჩათვლით). ლიფტების სამანქანო განყოფილებები მოწყობილია შენობის ბრტყელ სახურავზე (39.40 ნიშნ.).

მიწის დონის ქვედა სართულებზე განთავსებული **სწ-2** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით. გასასვლელებს შორის გამიჯნავი მანძილი **22.3** მეტრია, რაც შენობის ფართობის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**55.3** მეტრის) **1/3**-ზე მეტია. **1016.2 ცხრილის** მიხედვით, **სწ-2** და **დს** ჯგუფის დაკავებულობებისთვის გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემით</u>, მოთხოვნილია **120** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **41.2** მეტრი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

პირველ სართულზე განთავსებული **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა წარმოდგენილია შვიდი დამოუკიდებელი კომერციული სივრცით და თითოეული სივრცე ერთი გასასვლელის გზა-კარით.
1016.2 ცხრილის მიხედვით, **სვ** ჯგუფის დაკავებულობისთვის გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემით</u>, მოთხოვნილია **75** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **15.7** მეტრი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

II – IX სართულებზე განთავსებული **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით და გასასვლელებს შორის გამიჯნავი მანძილით **22.3** მეტრი, რაც შენობის ფართობის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**58.8** მეტრის) **1/3**-ზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2**-ის შესაბამისად. **1016.2 ცხრილის** მიხედვით, **სქ** დაკავებულობისთვის გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემით</u>, მოთხოვნილია **90** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **30.5** მეტრი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

X – XII სართულებზე განთავსებული, **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობა წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით და გასასვლელებს შორის გამიჯნავი მანძილით **22.3** მეტრი, რაც შენობის ფართობის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**49.5** მეტრის) **1/3**-ზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2**-ის შესაბამისად. **1016.2 ცხრილის** მიხედვით, **სც** დაკავებულობისთვის გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემის გარეშე</u>, მოთხოვნილია

60 მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 27.3 მეტრი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობის გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 **ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე (1.1 მ) განსაზღვრულია 1009.4 **ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 **ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (7.6 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.1 მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა 30 სმ-ია, შეუული სიბრტყისა კი – 15 სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს 1009.7, 1009.8 და 1009.15 **ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები შემოზღუდულია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით, რაც აკმაყოფილებს წესების 1009.3.1.2 **ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 **ქვეთავის** მიხედვით და ასევე, აკმაყოფილებს 716.5 და 1009.3.1.4 **ქვეთავების** მოთხოვნებს, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 **ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმზე (1 სთ) მეტი – 2 საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე (1.2 მ) განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინიმალური **1.5** მეტრი სიგანის დერეფანი, რაც შეესაბამება მოთხოვნილს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე (**0.82 მ**) განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.85** მეტრს ყველა სართულზე.

შენობიდან გამოსასვლელი მდებარეობს მიწის დონის 0.00 ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს იმავე ნიშნულზე.

<u>გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6) მისაწვდომობის შეფასება.

მე-11 თავის, **1104.1 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით მისაწვდომი ავტოსადგომიდან, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი,

რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.

საპროექტო შენობის **პირველი სართული** (**0.00** ნიშნულზე) მისაწვდომია, ხოლო შესასვლელებთან გათვალისწინებული **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტები ყველა სართულზე უზრუნველყოფს (შშმ) პირის მისაწვდომობას.

საპროექტო შენობაში **ICC A117.1** ნორმების გათვალისწინებით მოწყობილი შშმ პირთა ერთადგილიანი ტუალეტები უზრუნველყოფს უნარშეზღუდულთათვის მინიმალურ მოთხოვნებს და ასევე, აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის გამონაკლისი 3-**ის მოთხოვნებს მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტებთან მიმართებაში.

საპროექტო შენობის მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე განთავსებულ დახურულ ავტოსადგომზე, გათვალისწინებულია სამი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე, რაც აკმაყოფილებს **1106.1 ცხრილის** აუცილებელ მოთხოვნას.

საპროექტო შენობის **X – XII** სართულებზე განთავსებული საცხოვრებელი ერთეულების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე (**41** საცხ. ერთ.), სამი მისაწვდომია წარმოდგენილი, რაც აკმაყოფილებს **1107.6.1.1** ცხრილის აუცილებელ მოთხოვნას.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის თანახმად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, დაუცველი, საშხეფით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 – 10 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.95** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **50.4 %**.

10 – 6 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **12.52** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **11.2 %**.

6 – 1 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **3.0** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **15 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

ა – დ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **6.86** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

დ – ა ღერძებში (1–2 სართული) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

დ – ა ღერძებში (3–12 სართული) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.9** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **10.2 %**.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი

ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.

სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნას.

1009.16 ქვეთავის („სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო სართულიდან ორივე გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე (39.40 ნიშნულზე), სადაც გათვალისწინებულია კიბის უჯრედის ამოსასვლელებისა და ლიფტის სამანქანოების მოწყობა.

შენობის <u>პარაპეტები</u> აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით. პარაპეტის სიმაღლე **90** სანტიმეტრია, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათია და შეესაბამება საყრდენი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილი შერეული დაკავებულობები (**სწ-2**, **დს**, **სვ**, **სქ** და **სც-2**) ერთმანეთისგან გამიჯნულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის <u>თარაზული ანაწყობებით</u>, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** და **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს, ხოლო მიწის დონის ქვედა (-3) სართულზე განთავსებული **დს** ჯგუფის დაკავებულობა

(სახანძრო წყლის რეზერვუარი, სატუმბო სადგური და საგენერატორო) შენობის ყველა სხვა ფართობისაგან გამიჯნულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც აკმაყოფილებს წესების **508.4** და **707.3.10 ცხრილების** მოთხოვნებს.

<u>გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების</u> შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათია, **1009.3.1.2 ქვეთავის** მოთხოვნის შეესაბამისად.

<u>გასასვლელის გზა-დერეფნის</u> შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათია, რაც შეესაბამება **1023.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

1018.1 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

ლიფტის შახტა, სავენტილაციო შახტები, ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით, რაც აკმაყოფილებს წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

წესების **მე-9 თავის** მიხედვით, მრავალფუნქციური კომპლექსის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.2.7.1 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობის **სვ** ჯგუფის დაკავებულობაში გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა.

903.2.8 ქვეთავის გამონაკლისი 1-ის თანახმად, საპროექტო შენობის **სც-2** ჯგუფის დაკავებულობა ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

903.2.10 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, მიწის დონის ქვედა სართულებზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905.3 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემების დაყენება გათვალისწინებულია ყველა სართულის დერეფანში.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრების განთავსება გათვალისწინებულია დერეფნებში.

907 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის მოწყობა.

907.2.11.2 ქვეთავის და **SP 5.13130.2019 ცხრილი A1 2, მე-6 პუნქტის** მოთხოვნების თანახმად, საცხოვრებელ ბინებში (სველი წერტილების გარდა) გათვალისწინებულია ადგილობრივი ოპტიკურ-ელექტრონული კვამლზე მორეაგირე სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი.

907.2.13.1.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ლიფტის ფოიესა და ლიფტის სამანქანო ოთახში გათვალისწინებულია კვამლის აღმომჩენი მაუწყებლების მონტაჟი.

907.2.18.2 ქვეთავის (აუცილებელი განგაში) მოთხოვნის მიხედვით, საპროექტო შენობის სამორიგეო ადგილას მოწყობილია ხმოვანი განგაში, რომელიც კვამლის საკონტროლო სისტემის გააქტიურებისას უნდა გააქტიურდეს.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა საავარიო განგაშის სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

909 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემებით. კიბის უჯრედებსა და ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო, მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა. კიბის უჯრედში, როგორც კვამლისაგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში, დაყენებულია თვითიკეტებადი კარი, აღნიშნული ქვეთავის შესაბამისად.

912.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალისწინებულია გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე დამონტაჟებული <u>სახანძრო ჰიდრანტის</u> მოწყობა.

913.2.1 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო სატუმბო სადგურითა და წყლის რეზერვუარით, რომელიც განთავსებულია მიწის დონის ქვედა (-3) სართულზე (-8.10 ნიშნ.).

1006 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე (დერეფნებში და გზა-კიბეებზე გასასვლელებში) გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა. შენობა უზრუნველყოფილია გენერატორით, რომელიც განთავსებულია მიწის დონის ქვედა (-3) სართულზე (-8.10 ნიშნ.).

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სწ-2**, **სვ**, **სქ** და **სც-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1**-ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

მიწის დონის ქვედა (-3) სართულზე

სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=55):

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

მიწის დონის ქვედა (-2) სართულზე

სწ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=55):

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე

სწ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=55):

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

პირველ სართულზე

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=284):

- 2 უნიტაზი და 2 ხელსაბანი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა;
- 7 სასმელი წყლის დისპენსერი.

II სართულზე

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=107):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

III სართულზე

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=87):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;

- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>IV სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=85):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>V სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=80):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>VI სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=81):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>VII სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=78):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>VIII სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=83):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;

- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>IX სართულზე</u>

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=79):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 14 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი.

<u>X სართულზე</u>

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (14 ბინა, დდ=43):

- 15 უნიტაზი და 15 ხელსაბანი;
- 14 შხაპი;
- 14 სამზარეულოს ნიჟარა;
- 14 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>XI სართულზე</u>

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (14 ბინა, დდ=43):

- 15 უნიტაზი და 15 ხელსაბანი;
- 14 შხაპი;
- 14 სამზარეულოს ნიჟარა;
- 14 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>XII სართულზე</u>

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (13 ბინა, დდ=41):

- 14 უნიტაზი და 14 ხელსაბანი;
- 13 შხაპი;

- 13 სამზარეულოს ნიჟარა;
- 13 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12) ლიფტების შეფასება.

საპროექტო შენობაში მოწყობილია წესების მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული ორი ლიფტი, დამოუკიდებელი შახტით, რომელიც ემსახურება შენობის ყველა სართულს. ლიფტი აკმაყოფილებს **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნას, რომელიც ეხება ლიფტის კაბინაში 60 სმ x 2,15 მ ზომის საკაცის შეტანის შესაძლებობას.

ლიფტის შახტის ზომებია – 2.00 მ x 2.80 მ;
ლიფტის კაბინის – 1.30 მ x 2.60 მ.
ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა **909.21 ქვეთავის** შესაბამისად.

ლიფტის სამანქანო განყოფილება მოწყობილია შენობის ბრტყელ სახურავზე (39.40 ნიშნულზე).

მიწის დონის ქვედა (-1), (-2), (-3) სართულებზე ლიფტის შახტის წინ გათვალისწინებულია ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა **2-**საათიანია, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა – **45-**წუთიანი, რაც შეესაბამება მოთხოვნებს.

ლიფტის შახტა უერთდება მომიჯნავე შახტას, რისი საშუალებითაც ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება (**1704.1**, **1704.2**, **1704.3 ქვეთავების** შესაბამისად).

ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

13) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება

მიწის დონის ქვედა (-1), (-2), (-3) სართულებზე განთავსებული <u>დახურული ავტოსადგომები</u> (გათვალისწინებულია, შესაბამისად 24, 24, 25 ავტომობილზე), რომლის ავტოსადგომთან მისადგომები წარმოდგენილია ცალმხრივი შესასვლელ-გასასვლელიანი, **3.6** მეტრი სიგანის 8%–14%–8%-ანი ქანობის მრუდხაზოვანი საავტომობილო პანდუსებით, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისის** მოთხოვნას.

<u>ავტოსადგომებში</u> ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება **3.5** მეტრი სიგანის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, დასაშვებია და წარმოდგენილია **3.5** მეტრი, **406.9.4.2 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

<u>ავტოსადგომებში</u> ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის ზომები (მინიმალური სიგანე **2.5** მეტრი და სიგრძე **5.5** მეტრი), შეესაბამება **406.9.3.1** და **406.9.3.2 ქვეთავების** მოთხოვნებს. თითოეულ ადგილს გასავლელის მეშვეობით აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომი, მისასვლელი და გამოსასვლელი, **406.9.4.5 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

მიწის დონის ქვედა სართულებზე, კიბის უჯრედის წინ გათვალისწინებულია ტამბურის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურის მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა **2**-საათიანია, ხოლო ტამბურში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა **45**-წუთიანი, რაც შეესაბამება მოთხოვნებს.

<u>ავტოსადგომის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №70-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 5/47) განთავსებული მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე

18.10.2019 წ.





ДИПЛОМ

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს

მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1987 წელს დაამთავრა ხუთწლიანი ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივლისის გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქ. ქუთაისი 1987 წ. „28" ×

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1987 году окончил полный курс названного института по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г. Маисурадзе К.Ш. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „28" × 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	**1978 – 1987 წწ.** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Adobe Photoshop Corel Draw Artlantis Studio Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	**1984-1985 წწ.** **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი **1987-1992** **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი **1987-1992 წწ.** **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“. **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი